სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/221

ქ. თბილისი 5 სექტემბერი 2018

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ნ. კირთაძის მოწვევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ირ. გაბისონიას და 2018 წლის 5 სექტემბრის № 01-05-02/18 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. ევროკავშირ-საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციების კოალიციის პრეზიდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი ნ. კირთაძე მოწვეულ იქნეს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე პროფესორის თანამდებობაზე 400 საათიანი დატვირთვით 2018-219 სასწავლო წლიდან 10 თვით, ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების საერთაშორისო იმიჯის ამაღლებისა და სასწავლო-სამეცნიერო და აკადემიური პროექტების განხორციელების მიზნით. აღნიშნული ჩაეთვალოს აკადემიურ დატვირთვად.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე